

ჩრდილოეთ კავკასია - საფრთხე თუ იარაღი რუსეთის ფედერაციისთვის

მარიტა სეფაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ , გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიტა სეფაშვილი, 2016 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობების განხილვას, ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში. ფოკუსი შეჩერებულია რეგიონის როლის განსაზღვრაზე რუსეთის ფედერაციის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ჰიპოთეზის თანახმად ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონისა და რუსეთის ფედერაციის დღევანდელი სტაბილური და მყარი ურთიერთობები მოჩვენებითია და ლიდერთა პირადი გარიგებებით არის გამყარებული. რეალურად ფედერაციისათვის აღნიშნული რეგიონი ორმაგი საფრთხის შემცველი ერთეულია. ზოგად ნაწილში განხილულია ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მდგომარეობა პოსტსაბჭოთა პერიოდიდან დღემდე, ომისა და კონფლიქტის ხასიათი და როლი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, მის პოლიტიკურ პროცესებსა და გეგმებში. ეს საკითხები განხილულია ორი ძირითადი თეორიული ჩარჩოს ჭრილში. პირველი არის ბარი ბუზანისა და ოლე ვევერის თეორია რეგიონალური უსაფრთხოების შესახებ, რომელიც რეგიონალურ უსაფრთხოებას განიხილავს როგორც კომპლექსური ურთიერთობების შედეგს და არა ცალკე მდგომ ერთეულს, ეს თეორიის გვეხმარება რეგიონის მდგომარეობის განხილვაში. მეორე თეორია ეს არის სოციალური კონსტრუქტივიზმი, რომელიც თავის მხრივ ყურადღებას ამახვილებს ნორმებზე, რწმენებზე და ღირებულებებზე, როგორც პოლიტიკური ქცევის განმაპირობებლებზე. ქეისების განხილვის, სამეცნიერო სტატიების და ექსპერტთა დისკუსიის ანალიზის საფუძველზე წარმოვადგენთ დასკვნას, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას ახასიათებს, როგორც არა იარაღს რუსეთის ფედერაციის ხელში მისი მტრების წინააღმდეგ, არამედ როგორც ორმაგი საფრთხის შემცველ ერთეულს. საფრთხე ერთის მხრივ მდგომარეობს იმაში, რომ კრემლისა და ჩრდილო კავკასიური ლიდერების ურთიერთობების დაძაბვის შემთხვევაში რეგიონი ფედერაციის ეროვნულ უსაფრთხოებას შეუქმნის საფრთხეს და მეორეს მხრივ სტაბილურობა რომც შენარჩუნდეს რეგიონი პირდაპირი პრობლემაა რუსეთის დემოკრატიული

განვითარებისათვის, არსებული მდგომარეობებიდან და ურთიერთობების ფორმებიდან გამომდინარე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ჩრდილოეთ კავკასია; რუსეთის ფედერაცია; რეგიონალური უსაფრთხოება; დემოკრატიული განვითარება; სოციალური კონსტრუქტივიზმი;

Abstract

The work is concerned to discuss the relations between the north Caucasus and the Russian federation for regional security context. Focus suspended to discuss about the role of region in Russian domestic and foreign policy. Hypothesis is that the stabile relations between Russia and north Caucasus is artificial and backed up with leaders personal relations. Actually for the federation the region is the double treat. The general part is about north Caucasus region from the post soviet period, the character of war and conflict and the region as the part of political processes and the plans of Russian federation. These issues are discussed in the context of two major theoretical frameworks. The first is theory of regional security (Barry Buzan; Ole Wever). According the theory regional security is the outcome of complex relationship and not the separate entity. The other theory is social constructivism, which is heeding on the norms, beliefs and values as reasons of political behavior. Based on case studies, discusses of experts and analysis of articles presented the report that the north Caucasus is characterized not as weapon against enemies, as a double treat for Russia. On the one hand danger for regional security and on the other hand the danger against stable democratic development of the Russian federation.

Key words: north Caucasus; Russian federation; regional security; democratic development; social constructivism;

მადლობა

მადლობას უხდი ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, დავით დარჩიაშვილს, გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

მარიტა სეფაშვილი, 2016 წელი